

ენაბორძიკის გავლენა ცხოვრების ხარისხზე

სოფიო ქურასბედიანი

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2025

## განაცხადი

*”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“*

სოფიო ქურასბედიანი 20/01/2025

## აბსტრაქტი

ნაშრომი შეეხება ენაბორძიკის მქონე ზრდასრული ადამიანების ცხოვრების ხარისხს, ენაბორძიკის გავლენას მათ ყოველდღიურობაზე.

ჩვენი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ენაბორძიკი მნიშვნელოვანი გავლენას ახდენს არა მხოლოდ საკომუნიკაციო უნარებზე, არამედ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში სერიოზულ გამოწვევებს ქმნის. კვლევა ფოკუსირებული იყო 20-დან 40 წლამდე ასაკის 5 ზრდასრულზე, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ინტერვიუში. ინტერვიუს ნარატივის ანალიზმა გამოავლინა, რომ ბავშვობაში ენაბორძიკის არსებობის მიუხედავად, სპეციალისტები და მშობლები ძირითადად კონცენტრირებულნი იყვნენ მხოლოდ გარეგან გამოვლინებაზე და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ფსიქო-ემოციურ მხარეს.

შედეგებმა დაადასტურა, რომ ჩვენს ქვეყანაში ენაბორძიკის მართვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება ფსიქოთერაპიის როლის სათანადო შეფასება. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ იმ პირებს, რომლებმაც არ გაიარეს ფსიქოთერაპია, სირთულეები ჰქონდათ სოციალიზაციის, თვითშეფასებისა და ემოციური რეგულაციის კუთხით. მათი გამოცდილება მოწმობს, რომ ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის არარსებობამ გაზარდა სტრესი, კომუნიკაციის შიში და ზოგადად შეამცირა ცხოვრების ხარისხი.

შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ენაბორძიკის მქონე პირებში ფსიქოთერაპიული ჩარევა უნდა გახდეს ინტერვენციის მნიშვნელოვანი კომპონენტი. მიღებული მიგნებები მნიშვნელოვანი იქნება სპეციალისტებისთვის, რათა განსაზღვრონ მკურნალობის პრიორიტეტები და სრულფასოვანი მხარდაჭერა გაუწიონ ენაბორძიკის მქონე პირებს.

საკვანძო სიტყვები: ენაბორძიკი, ცხოვრების ხარისხი, ზრდასრულები, ფსიქოთერაპია.

## **Abstract**

Our research findings have shown that stuttering significantly affects not only communication skills but also the psycho-emotional state, creating serious challenges in everyday life. The study focused on five adults aged 20 to 40, who participated in interviews. The narrative analysis of these interviews revealed that despite the presence of stuttering from an early age, specialists and parents primarily concentrated on its external manifestations, paying little attention to the psycho-emotional aspects.

The results confirmed that one of the main challenges in managing stuttering in our country remains the proper assessment of the role of psychotherapy. The study found that individuals who had not undergone psychotherapy faced difficulties in socialization, self-esteem, and emotional regulation. Their experiences indicate that the lack of psycho-emotional support increased stress, fear of communication, and generally reduced their quality of life.

Based on the findings, it has become evident that psychotherapeutic intervention should be an essential component of stuttering treatment. The insights gained from this study will be crucial for specialists in determining intervention priorities and providing comprehensive support for individuals with stuttering.

**\*\*Keywords:\*\*** Stuttering, Quality of Life, Adults, Psychotherapy.